ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4897568

ნომერი: AR1739730

თარიღი : 11.03.2020

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 13.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , N 31-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ზერეკიძე პ/ნ 01024034887
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის IV კვარტალი, კორპუსი 10, ბინა 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020

წლის 11 მარტის NAR1739730 განცხადებით მომართა ქეთევან ზერეკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ქუჩა ვალენტინ თოფურიძის, N 31-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026), №01.10.18.006.257 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 04 თებერვლიდან 2022 წლის 04 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საცხოვრებელ ფართობად 4001.5 კვ.მ-ის ნაცვლად 4012.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებაში საცხოვრებელ ფართობად ნაცვლად 4001.5 კვ.მ-ისა მითითებული უნდა იყოს 4012.3 კვ.მ. შესაბამისად, საერთო ფართობად 6507.4 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 6518.2 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 4012.3 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 6518.2 კვ.მ.

2. სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებით შეთანხმებული -6.40 და -3.20 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846349 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.